განმავითარებელი შეფასება და უკუკავშირის კულტურა

თითოეული ჩვენთაგანის უპირველესი ამოცანაა, პასუხი გაეცეს კითხვას იმის შესახებ, თუ როგორ გავხადოთ ეფექტური განმავითარებელი შეფასება,დავადგინოთ,რეალურად არსებობდა თუ არა დასახელებული პრომლემა, რა მიზეზებით იყო იგი გამოწვეული და მისი განხორციელების შემდეგ პასუხი გაეცეს რამდენიმე მნიშვნელოვან კითხვას:

რა სირთულეებს წარმოშობს სასწავლო/საგაკვეთილო პროცესში განმავითარებელი შეფასებისგან თავის არიდება?

რატომ არის მნიშვნელოვანი მასწავლებელმა სასწავლო/საგაკვეთილო პროცესში სისტემატურად გამოიყენოს განმავითარებელი შეფასება?

რა ცვლილებას გამოიწვევს სასწავლო/საგაკვეთილო პროცესში განმავითარებელი შეფასების სისტემატური გამოყენება?

როგორ შეცვლის მოსწავლეთა მოტივაციასა და საგაკვეთილო/სასწავლო პროცესში ჩართულობას განმავითარებელი შეფასების მუდმივი გამოყენება?

როგორც ცნობილია, განმავითარებელი შეფასება კონკრეტული თემის/საკითხის შესწავლისას გამოიყენება და მისი მიზანია, დაადგინოს ის, თუ რამდენად კარგად გაიგო/გაიაზრა მოსწავლემ ესა თუ ის საკითხი. სწორედ ესეხმარება მასწავლებელს, დაგეგმოს სწავლება სწორად და მიაღწიოს სასწავლო მიზნებს. თუ მასწავლებელი იყენებს სწორად დაგეგმილ განმავითარებელ შეფასებას, მისმამოსწავლეებმა კარგადიციან, თუ რისიგაკეთება სჭირდებათ სასწავლო მიზნების მისაღწევად. თუმცა, ამავდროულად, უმნიშვნელოვანესია ისიც, რომ მასწავლებელმა სწორად გაიაზროს ამ მიდგომის არსი, ასევე, არა ნაკლებ მნიშვნელოვანია ეფექტური სასწავლოგარემოს ზოგადი პრინციპების გათვალისწინება, რაც, ცხადია, ნებისმიერი გაკვეთილის წარმატებით ჩატარებისა და სასწავლო მიზნების მისაღწევად გადამწყვეტია.

  განმავითარებელი შეფასების საშუალებით, სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეს შეუძლია ამომწურავი ინფორმაციის მიღება. მოსწავლეები აცნობიერებენ, თუ რა ეტაპზე იმყოფებიან თავიანთი განვითარების გზაზე, მასწავლებლები აცნობიერებენ

თუ რამდენად ეფექტურია მათ მიერ შერჩეული სწავლების მეთოდები, როგორ აღწევენ სასწავლო მიზანს კონკრეტულ მოსწავლესთან და როგორ უნდა დაგეგმონ მომავალი სასწავლო პროცესი, ხოლო სახელმწიფო,მოსწავლეთა შეფასებით მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით იღებს ინფორმაციას, თუ როგორ მიმდინარეობს სწავლა-სწავლების პროცესი და რა მიღწევები და ხარვეზებია ამ მიმართულებით.

  განმავითარებელ შეფასებას მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა სასწავლო აღმზრდელობით პროცესში, რომელიც გულისხმობს სხვადასხვა აქტივობებით და სწავლების სტრატეგიებით ინფორმაციის მოპოვებას მოსწავლეთა გაგება-გააზრების დონის შესახებ, ამ ინფორმაციის გამოყენებას მათი მოტივაციის ასამაღლებლად და პროგრესის ხელშესაწყობად.განმავითარებელი შეფასების არსი ისაა, რომ მან სწავლების მოდიფიცირებისა და მოსწავლის შედეგების გაუმჯობესებისათვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება უზრუნველყოს. ამასთანავე ინფორმაცია ისეთი დროული უნდა იყოს, რომ მოსწავლემაც და მასწავლებელმაც გააცნობიერონ, რა ცვლილებების შეტანაა საჭირო სწავლასა და სწავლებაში, რათა სასწავლო მიზნისაკენ სვლა წარმატებით გაგრძელდეს.

  გამოცდილი მასწავლებლები ხშირად მიმართავენ განმავითარებელ შეფასებას, თუმცა ზოგჯერ მას სახელს არ არქმევენ და ცალკე არ გამოყოფენ, როგორც სწავლებისათვის მნიშვნელოვან კომპონენტს. მასწავლებლები განმავითარებელ შეფასებას უმთავრესად აღიქვამენ, როგორც მოსწავლეთა დავალებებზე გაკეთებულ წერილობით კომენტარს (უკუკავშირს).

  განმავითარებელი შეფასება არის პროცესი, რომელიც მრავალფეროვან ინსტრუმენტებს თუ სტრატეგიებს მოიცავს. ნებისმიერი აქტივობა შეიძლება იქცეს განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტად, თუ ის ეხმარება მოსწავლეებს გაიაზრონ რისი გაგება უჭირთ და რატომ, გააცნობიერონ საკუთარი სუსტი და ძლიერი მხარეები, დასახონ გზა მიზნის მისაღწევად.

განმავითარებელი შეფასება განსაკუთრებით შედეგიანია დაბალი მოსწრების მოსწავლეებისათვის, იქ სადაც განმავითარებელ შეფასებას იყენებენ, დაბალი და მაღალი მოსწრების მოსწავლეებს შორის განსხვავება მცირდება და სწავლის ხარისხი კი იზრდება.

ზოგად საგანმანათლებლო სკოლის ფუნქციონირების საკითხში განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობა უდიდესია. იმისათვის, რომ მოსწავლესა და მასწავლებელს შორის პოზიტიური ურთიერთობა ჩამოყალიბდეს, სწორედ აღნიშნული შეფასება თამაშობს უდიდესროლს, ყოველივე ეს კი, ვფიქრობ, პირდაპირპროპორციულად აისახება მოსწავლის მოტივაციაზე. განმავითარებელი შეფასება არ გულისხმობს მხოლოდ სიტყვიერ ან წერილობით კომენტარს, ის აუცილებლად უნდა მოიცავდეს იმ რეკომენდაციებსაც, რომლებიც მომავალში უნდა გაითვალისწინონ მოსწავლეებმა ხარვეზის გამოსასწორებლად. ვფიქრობ, განმავითარებელი შეფასების გამოყენებისას, მნიშვნელოვანია ზომიერებისა და კორექტულობის დაცვა, მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გამოკვეთა, თითოეული მათგანის პროგრესზე ზრუნვა და განვითარების ხელშეწყობა. განმავითარებელი შეფასებისას საყურადღებოა ისიც, რომ მოსწავლეთა პროგრესის მონიტორინგს მუდმივი ხასიათი უნდა ჰქონდეს. ეს კი დამატებით დროსა და ენერგიას მოითხოვს.

საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს,რომ ოპტიმალური სიხშირეა,მასწავლებლებმა გაკვეთილის მსვლელობის დროს 15 წუთში ერთხელ შეამოწმონ მოსწავლის მიერ საკითხის სწავლის და გაგების ხარისხი.საკორექციო ქმედებები უნდა ეფუძნებოდეს მოსწავლეებისთვის სასწავლო საკითხების სხვადასხვა და მრავალფეროვანი გზებით მიწოდებას, საკორექციო ქმედება არ გულისხმობს განმეორებით სწავლებას იმავე მეთოდებისა და აქტივობების გამოყენებით.

განმავითარებელი შეფასებისთვის შესაფერისი აქტივობებია

- დაამყარე კავშირი
- ქვიზები
- რა ვიცი,რა მინდა ვიცოდე, რა ვისწავლე
- 3-2-1

  წერის გამოყენება სწავლისა და ათვისების შესამოწმებლად (ფრეიერის სქემა)

განმავითარებელი შეფასება უაღრესად ეფექტური მიდგომაა მოსწავლეთა მიღწევის გაუმჯობესებისთვის.
განმავითარებელი შეფასება მოითხოვს მასწავლებლების მაღალი დონის პედაგოგიკურ კომპეტენციებს

მასწავლებლებმა უნდა განივითარონ უნარები არა მხოლოდ ცალკეულ მოსწავლეთა სასწავლო საჭიროებების ამოცნობისთვის, არამედ მათზე რეაგირებისთვისაც. საჭიროა როგორც საგნობრივი, ისე პედაგოგიური ცოდნა.განათლების სისტემა საჭიროებს მნიშვნელოვან ინვესტიციებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის, განმავითარებელი შეფასების პრაქტიკის მხარდასაჭერად. რეალურ ცვლილებებისთვის აუცილებელია მასწავლებლებს შესაძლებლობა მიეცეთ ისწავლონ, გამოსცადონ ახალი მიდგომები, მოხდინონ რეფლექსია და ითანამშრომლონ

პრობლემა რატომ არ იყენებენ მასწავლებლები ეფექტურად და აქტიურად განმავითერებელ შეფასებას საგაკვეთლო პროცესში). იკვეთება სავარაუდო მიზეზები.

1.არასაკმარისი დრო.

2.მოსწავლეთა დიდი რაოდენობა.

3.განმავითარებელი შეფასების უგულებელყოფა (პრიორიტეტია განმსაზღვრელი შეფასება,კონკრეტული ქულა).

4.განმავითარებელი შეფასების სტრატეგიების ცოდნის დაბალი დონე.

5.მასწავლებელთა ნაწილი ართვლის საჭიროდ განმავითარებელი კომენტარის

საჭიროებას

მასწავლებლის მიერ გაკეთებული კომენტარები ორიენტირებული უნდა იყოს მოსწავლის შედეგების გაუმჯობესებაზე. ასეთი კომენტარები მოსწავლეებს საშუალებას აძლევს გააცნობიერონ, რას აკეთებს სწორად და რას-არა. საგულისხმოა, რომ მოსწავლისთვის მხოლოდ იმისთქმა, სწორია თუ არა მისი პასუხი, უარყოფით გავლენას ახდენს მის აკადემიურ მოსწრებაზე. კვლევის შედეგების მიხედვით, კომენტარი სასარგებლოა მაშინ, როცა დეტალურად უხსნის მოსწავლეს, რა არის მის პასუხში სწორი და რა-არა.

•მასწავლებლის კომენტარი დროული უნდა იყოს, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. როგორც კვლევებიდან იკვლევა, კომენტარის მიცემისთვის ყველაზე ეფექტური დრო ტესტირების დასრულების პერიოდია. რაც უფრო გვიან მიაწვდის მასწავლებელი კომენტარს, მით უფრონაკლებ გავლენას მოახდენს იგი მოსწავლის აკადემიურ მოსწრებაზე.

•მასწავლებლის მიერ გაკეთებული კომენტარი უნდა უკავშირდებოდეს კონკრეტულ კრიტერიუმს და არა-ნორმებს. კრიტერიუმებზე მიმართული კომენტარები გულისხმობს, რომ მოსწავლეებს აფასებენ წინასწარდადგენილი კრიტერიუმებით და არა სხვა მოსწავლეებთან შედარებით. როცა კომენტარი ნორმებს უკავშირდება, მოსწავლეები ინფორმაციას იღებენ იმის შესახებ, თუ რა მიმართებაა მათსა და სხვა მოსწავლეებს შორის. ეს ინფორმაცია აბსოლუტურად გამოუსადეგარია მასწავლებლისთვის იმის დასადგენად, თუ რა ისწავლა მოსწავლემ და რა აქვს კიდევ სასწავლი. კრიტერიუმებთან დაკავშირებული კომენტარები კიმოსწავლეებს მიუთითებს, რა პოზიცია უკავიაკონკრეტული ცოდნისა და უნარების მიღწევის თვალსაზრისით

ყველაფერ ამის გათვალისწინებით დავიწყე ფიქრი თუ როგორ შეიძლებოდა პრობლემის მოგვარება. დავსახე მიზნები რომ მოსწავლეებისთვის,მასწავლებლებისთვის და მშობლებისთვის შემედგინა

კითხვარები რომლებიც დამეხმარებოდა დამეგემა შემდგომი სწორი ნაბიჯები. მოსწავლეებთან მასწავლებლებმა დაიწყეს დაკვირვების მეთოდის გამოყენება, რათა შევესწავლათ არსებული მდგომარეობა: როგორი ტიპის განმავითარებელი შეფასება იყო მათთვის მნიშვნელოვანი; რომელი იწვევდა მოტივაციის ამაღლებას და რომელი-არა;რომელი უფრო მოსწონდათ სიტყვიერი, ზეპირი კომენტარი თუ წერილობითი . სამუშაო შეხვედრებზე მსწავლებლები აღნიშნავდნენ რომ თავდაპირველად ისინი უკუკავშირს აკეთებდნენ როგორც კლასის წინა ასევე ინდივიდუალურად. რის შედეგიც გახლდათ ის, რომ შედარებით უინიციატივო მოსწავლეები, რომლებიც ფრთხილობდნენ, რომ შეცდომა არდაეშვათ, უფრო თამამად და თავისუფლად გამოთქვამდნენ აზრს, ითვალისწინებდნენ მიცემულ განმავითარებელ კომენტარს.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ დაწყებით (I_IV) კლასის მასწავლებლები, გაკვეთილის ბოლო ფაზაზე და საშინაო დავალების შემოწმებისას იყენებენ სიმბოლოებს: ვარსკვლავი, გაღიმებული სმაილი, მზე. მათი აზრით შეფასების ეს ფორმა მარტივია, მოითხოვს ნაკლებ დროს და დადებითად მოქმედებს ბავშვის მოტივაციაზე.

ხშირად მიმართავენ ზეპირ კომენტარს და შექებას: „ყოჩაღ“, „კარგი ბიჭი ხარ“, გაკვეთილის მსვლელობისას. პედაგოგების აზრით, ასეთი კომენტარი ხაზს უსვამს მოსწავლის ძალისხმევას და შრომისმოყვარეობას შესრულებული დავალების მიმართ, მოსწავლეს უქმნის კომფორტს და თავდაჯერებას მატებს კლასის წინაშე მოსაზრებების გამოთქმის. გამოიკითხა საბაზო და საშუალო კლასის მასწავლებლებიც: მათაც თითქმის იგივე აღნიშნეს რომ თავდაპირველად იყენებდნენ განმსაზრვრელ სეფასებას განსაკუთრებიტ ჯგუფური მუშაობის დროს,მათ შეცვალეს მიდგომა და მოსწავლეების შეფასება დაიწყეს განმავითარებელი კომენტარით და დახვეწეს მისი ფორმა. ყოჩაღის ნაცვლად : “ყოჩაღ! შესანიშნავად შეძელი შენი აზრის დაცვა, ასევე მომეწონა, რომ ყურადღებით უსმენდი შენს მეგობარს, რომელსაც შენგან განსხვავებული პოზიცია ჰქონდა“. ამ ფორმით გაცემულმა განმავითარებელმა შეფასებამ შედეგი გამოიღო, მოსწავლეებს მოეხსნა ემოციური დაძაბულობა, ისინი უფრო აქტიურები, ჩართულები, თავდაჯერებული და გაბედულები გახდნენ.

2.ანკეტირება

მშობლებთან ანკეტირების შედეგად გამოვლინდა, რომ მოსწავლეები შეფასებას იღებენ სისტემატიურად, თუმცა შეფასება ვერ უქმნის მშობელს ზუსტ წარმოდგენას შვილის აკადემიური მოსწრების შესახებ.

დამატებით კითხვებზე პასუხს იღებენ მასწავლებლებისგან ინდივიდუალური შეხვედრების დროს,სატელეფონო საუბრის და სოციალური მიმოწერის საშუალებით.

პედაგოგიკის მკვლევარები ეძიებენ გზებს, როგორ დაეხმარონ მასწავლებლებს განმავითარებელი შეფასების ეფექტურად ჩატარებაში.

ტესტირებებისა და განმავითარებელი შეფასების დაკავშირება

სტრატეგია 1. ტესტირებისთვის მზადება შუქნიშნის გამოყენებით:

მასწავლებლები მოსწავლეებს მიაწვდიან იმ უნარების, ცოდნისა და გაგების ჩამონათვალს, რომელზეც ტესტში გაკეთდება აქცენტი, ხოლო მოსწავლეები რეაგირებენ საკითხებზე შუქნიშნის ფერებით.

„მე შემიძლია ამ საკითხის ახსნა სხვისთვის” (მწვანე შუქი)”

„მე ვფიქრობ, რომ ეს საკითხი გავიგე, მაგრამ სხვისთვის ახსნა გამიჭირდება” (ყვითელი შუქი)

„მე ვერ გავიგე ეს საკითხი” (წითელი შუქი)

სტრატეგია 2. სატესტო დავალებების/შეკითხვების ან თუნდაც მთელი ტესტის შექმნა მოსწავლეების მიერ:

- მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს ტესტის საკითხების შესაბამისი დავალების/შეკითხვის დასმას და თვითონ კი საშუალება ეძლევა შეაფასოს მათი ცოდნა, უნარი და გაგება;

მთელი ტესტის შექმნა (სახელმძღვანელო მითითების შესაბამისად, რომელშიც გარკვეულია დავალებების/შეკითხვის რაოდენობა და ტიპების მრავალფეროვნება) უფრო მეტ სწავლას მოიცავს, ვიდრე უბრალოდ პასუხის გაცემა მასწავლებლის მიერ შექმნილ ტესტზე.

სტრატეგია 3. ტესტირების დასრულების შემდეგ:

იმის ნაცვლად, რომ მასწავლებლებმა უბრალოდ დაუბრუნონ შესრულებული ტესტები მოსწავლეებს და შემდეგ ახსნან სწორი პასუხები, მასწავლებლებს შეუძლიათ გამოიყენონ სტრატეგიები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეების შემდგომ განვითარებასა და სწავლებას. მაგალითად:

- სანამ ნამუშევრებში ნიშნებს დაწერს და დაუბრუნებს მოსწავლეებს, მასწავლებელი ანაწილებს სატესტო დავალებებს/შეკითხვებს და ტესტის სხვადასხვა მონაკვეთს ურიგებს მოსწავლეთა ჯგუფებს.
- მოსწავლეთა როლია შეთანხმდნენ თითოეული დავალების/შეკითხვის პასუხზე და იმაზე, თუ როგორ უნდა შეფასდეს ქულებით ესა თუ ის პასუხი.
- შემდეგ ჯგუფები თავიანთ ნამუშევრებს უზიარებენ კლასს.

- მასწავლებელი გაარკვევს იმ სატესტო დავალებებს/შეკითხვებს, რომლებიც ყველაზე რთული აღმოჩნდა მოსწავლეებისთვის და განიხილავს კლასში მათ ამოხსნას სანამ ნამუშევრებს დაურიგებდეს მოსწავლეებს.

- მასწავლებელი რამდენიმე ყველაზე რთულ სატესტო დავალებას/შეკითხვას ასახელებს. იგი მოსწავლეებს სთხოვს გადახედონ ამ დავალებებს/შეკითხვებს წყვილებში, რომ გაარკვიონ სწორი პასუხები. შემდეგ კი ისინი დაადასტურებენ თავიანთ პასუხებს სხვა წყვილთან, სანამ ბოლოს მასწავლებელთან გადაამოწმებენ.

განმსაზღვრელი შეფასება ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში.

განმავითარებელი შეფასება ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე.

ვისი ან რისი განვითარება იგულისხმება ამგვარი შეფასებით? ინგლისური შესატყვისი ტერმინია **Formative Assessment** .**Form-at-ive** ანუ მაფორმირებელი (შეფასება).ვისთვის ან რისთვის ფორმის მიცემა იგულისხმება ამგვარი შეფასებით?

განმავითარებელი შეფასების შედეგად ვიღებთ ინფორმაციას - რამდენად ნაყოფიერია სწავლება და რა ცვლილებები უნდა შევიტანოთ მასში.

განმავითარებელი შეფასების გამოხატულებაა მასწავლებლის რეაგირება მოსწავლეთა სასწავლო ქცევაზე - რომელიმე ფორმით მიწოდებული უკუკავშირი ან საკორექციო მოქმედება, რომელიც მოსწავლის გამოვლენილ საჭიროებას შეესაბამება (მაგალითად, სკაფოლდინგით, აქტივობის ან სწავლების ორგანიზაციის ცვლილებით და ა.შ.).

შევაჯამოთ:

- განმავითარებელი შეფასება ხდება უშუალოდ სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს.
- განმავითარებელი შეფასება არის ინტერვენცია რეალურ დროში.
- განმავითარებელი შეფასება გვეხმარება, დროულად აღმოვაჩინოთ მოსწავლის სუსტი მხარეები და მიმართულება მივცეთ მას, სანამ ქულით შევაფასებთ (ამის საჭიროების შემთხვევაში).

ამრიგად, განმავითარებელი შეფასების დანიშნულებაა სწავლის მოტივაციის გაზრდა და სასწავლო პროცესისათვის გზის გაკვლევა, ასევე მოსწავლეს და მასწავლებლებისათვის საჭირო უკუკავშირის მიწოდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

შემაჯამებელი დავალებები და განმავითარებელი შეფასება გია ნოზაძე

ინტერნეტგაზეთი mastsavlebeli.ge

განმავითარებელი შეფასება და დიფერენცირებული სწავლება.

სტატიის ავტორი სსიპ ალექსანდრე საჯაიას სახელობის ზუგდიდის მინიციპალიტეტის სოფელ ოდიშის N1 საჯარო სკოლის ინგლისური ენის წამყვანი მასწავლებელი

სოფიო ციმინტია